სსიპ კოლეჯი

„მ ე რ მ ი ს ი“

2025 წლის ანგარიში

კოლეჯის განვითარება

სსიპ-კოლეჯი ,,მერმისი“ მუდმივად ორიენტირებულია ხარისხის განვითარებაზე, პროფესიულ სტუდენტთა სწავლა-სწავლების ხარისხისა და კოლეჯის პერსონალისა და რესურსების მართვის გაუმჯობესებაზე, კოლეჯში უსაფრთხო, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და პროდუქტიული გარემოს შექმნასა და მაღალი ორგანიზაციული კულტურის განვითარებაზე.

კოლეჯი ,,მერმისი“ აგრძელებს აქტიურ განვითარებას პროფესიული განათლების სფეროში, მისი მიზანია, განსაზღვროს ძირითადი მიმართულებები, რეფორმები და ინიციატივები, რომლებიც კიდევ უფრო გააძლიერებს კოლეჯის როლს ქვეყნის განათლების სისტემაში და ადგილობრივ შრომის ბაზარზე.

2025 წელი კოლეჯისთვის ახალი შესაძლებლობებისა და წინსვლის წლად დაიწყო.

სსიპ კოლეჯმა „მერმისი“ წარმატებით გაიარა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებით, მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, რაც საფუძვლად დაედო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესაბამისობას კანონით დადგენილ სტანდარტებთან.

ასევე კოლეჯმა მიაღწია არაერთი დადებით სიახლეს.

- ✓ **<u>ETF სერტიფიკატი</u>**

2025 წლის 7 მარტს სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარების ხელშეწყობისთვის ETF მიერ შეტანილია სერტიფიცირებული პროფესიული განათლების Excellence პროვაიდერების საჯარო ონლაინ რეესტრში /Open Space“ და ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების პროვაიდერებისთვის, რომლებიც ცდილობენ დაუკავშირდნენ განვითარებაზე ორიენტირებულ პარტნიორებს.

რეესტრი შექმნილია იმისათვის, რომ გაზარდოს კოლეჯის ცნობადობა და ხელი შეუწყოს მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების ზრდას.

- ✓ **<u>საქართველოს პარლამენტის სპეციალური ჯილდო</u> - ინკლუზიური განათლების განვითარების მიმართულებით.**

პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს ყოველწლიური კონკურსი, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ათასწლეულის ფონდის ორგანიზებით 2017 წლიდან იმართება, მისი მიზანია პროფესიული

განათლების, როგორც ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების მნიშვნელოვანი კომპონენტის, განვითარება და პოპულარიზაცია.

სსიპ კოლეჯი „მერმისი“ მუდმივად ორიენტiრებულია განვითარებაზე, პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე, რისი წარმოჩენის შესაძლებლობასაც აღნიშნული კონკურსი იძლევა. სწორედ ამიტომ კოლეჯი ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობს კონკურსში და სხვადასხვა წლებში ხუთ ნომინაციაში აქვს გამარჯვება მოპოვებული:

- 2018 წელს კოლეჯი „მერმისი“ დასახელდა წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 2019 წელს კოლეჯის სტუდენტი - წლის პროფესიული განათლების სტუდენტი;
- 2020 წელს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი - წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- 2023 წელს კოლეჯის „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა - წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- წელს სსიპ კოლეჯმა „მერმისი“ საქართველოს პარლამენტის სპეციალური ჯილდო მოიპოვა ინკლუზიური განათლების განვითარების მიმართულებით.

✓ <u>კონკურსის „პროფესიული განათლება მოდის ინდუსტრიისათვის" გამარჯვებული</u>

ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარების მიმართულებით, დარგობრივი კონკურსის "პროფესიული განათლება მოდის ინდუსტრიისათვის" კოლეჯმა „მერმისი“ გაიმარჯვა.

კონკურსში მონაწილეობდა 15 პროფესიული კოლეჯი საქართველოს მასშტაბით, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას „სამკერვალო წარმოება“. კოლეჯის "მერმისი" გუნდს მენტორობდა მოდის სფეროს ცნობილი და წარმატებული დიზაინერი - ალექსანდრე ახალკაციშვილი.

კოლექციაზე ,,სტიქიური მოვლენები“ იმუშავეს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამკერვალო წარმოება" პროფესიულმა მასწავლებლებმა: ლია მიქელთაძემ, იამზე ნოზაძემ, გურამ შარვაძემ და სტუდენტებმა. კოლექცია ტყავის აქსესუარებით გააფორმა ეკატერინე ბურჯალიანმა.

პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების დანერგვისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, პერიოდულად ხორციელდება კოლეჯის თანამშრომელთა და მასწავლებელთა საერთაშორისო ვიზიტები.

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებით 2025 წლის 26 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით გერმანიის ქ. გროს გერაუში განხორციელდა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტი საქართველოში მოქმედი კოლეჯების ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სასწავლო ვიზიტს მასპინძლობდა ჰესენის უწყვეტი პროფესიული განათლების და მომზადების ინსტიტუტი (HLIT). ვიზიტში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯის „მერმისი“ სასწავლო პროცესის მენეჯერმა მაია დანელიამ.

ვიზიტი მიზნად ისახავდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და პროფესიული განათლების ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებას. ვიზიტის ფარგლებში გაეცნო ფრანკფურტის, მაინცის, დარმშტადტის პროფესიული სკოლების მაგალითზე გერმანიის პროფესიული განათლების დუალურ სისტემას, სავაჭრო პალატის და კომპანიების როლს პროფესიულ განათლებაში, სკოლის მართვის პრინციპებს, პროფესიული განათლების პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ მიდგომებს, ინოვაციური მეთოდების, მათ შორის დიჯიტალიზაციის როლს სწავლებაში, სტუდენტურ სერვისებს და სხვა საკითხებს.

2025 წლის 9 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით ხარისხის მენეჯერი ნანა ნამგალაძე, პროფესიული განათლების მასწავლებლები ოლღა რუხაძე და ანა სააკაძე იმყოფებოდნენ ესტონეთში, ქ. რაპინას მებაღეობის სკოლაში

ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებით საერთაშორისო სასწავლო ვიზიტით 2025 წლის 9 ნოემბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით ინკლუზიური განათლების კოორდინატორი ნატო გურასპაშვილი იმყოფებოდა ფინეთში, ქალაქ ჰელსინსკში

სსიპ - კოლეჯის „მერმისი" დირექტორი ნონა ღუდუშაური და სტუდენტური სერვისების მენეჯერი სალომე გვიმრაძე მივლინებულ იქნენ ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში პროფესიული განათლებისა და გადამზადების ალიანსის (AVET) ორგანიზებით, მობიუს პროექტის ფარგლებში გამართულ სამიტში მონაწილეობის მისაღებად მიმდინარე წლის 10-14 ივნისს.

სსიპ - კოლეჯის „მერმისი" სტუდენტური სერვისების მენეჯერი სალომე გვიმრაძე Erasmus+ პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო სასწავლო სტაჟირების პროგრამების ხელშეწყობა სომეხი, ქართველი და მოლდოველი სტუდენტებისთვის ცენტრალურ ევროპაში" (პროექტის ნომერი: 101129424 - IN-VET), ორგანიზებულ ღონისძიებაზე მონაწილეობის მიღების მიზნით,მივლინებულ იქნა უნგრეთის ქალაქ ბუდაპეშტში 2025 წლის 06 ნოემბრიდან 09 ნოემბრის ჩათვლით.

- **თანამედროვე შრომის ბაზრის შესაბამისად ახალი პროგრამის დამატება**

შრომის ბაზრის დინამიკური ცვლილებების ფონზე, კოლეჯი ,,მერმისი" მუდმივად ცდილობს, გააძლიეროს სტუდენტების პრაქტიკული უნარები და მათ შესთავაზოს პროფესიული განათლება, რომელიც უშუალოდ ეხმიანება თანამედროვე დამსაქმებელთა მოთხოვნებს.

სსიპ-კოლეჯის ,,მერმისი" მიზანია კოლეჯის მიზანია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.

კოლეჯს 2025 წელს გაუვიდა ავტორიზაციის ვადა და რეავტორიზაციის მზადების პერიოდში განხორციელებული იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ განსაზღვრულ იქნა კოლეჯის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან, რის საფუძველზე შევსებულ იქნა რეავტორიზაციის/ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფორმა;
- ✓ ახალ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდა ორი პროგრამის „სასტუმრო მომსახურება" და „სარესტორნო მომსახურება" მოდიფიცირება;
- ✓ განხორციელდა კოლეჯის 10 პროგრამაში: „სავალი ნაწილის შეკეთება", „ძრავას შეკეთება", „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება", „იატაკისა და ფილის სამუშაოები", „ელექტროობა", „მომინანქრება", „კულინარიის

ხელოვნება“, „კონდიტერია“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი“, „თმის მომსახურება“ ცვლილებების შეტანა;

- ✓ შემუშავდა და დამტკიცდა 5 ახალი პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები: „Front-end დეველოპმენტი“; „ადმინისტრაციული სერვისები“; „გრაფიკული დიზაინი“; „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ „ტყავის ნაკეობათა წარმოება“,
- ✓ პროგრამების შესაბამისად განახლდა/შეივსო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
- ✓ დამატებით გაფორმებული იქნა კომპანიებთან 20 ახალი მემორანდუმი/ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
- ✓ გაფორმდა 143 შრომითი ურთიერთობის წინარე ხელშეკრულება , როგორც მოქმედ, ასევ კერძო სექტორიდან მოწვეულ 108 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

ასევე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯის განვითარების კუთხით განხორციელებული იქნა შემდეგი აქტივობები:

- ✓ შეტანილ იქნა ცვლილებები კოლეჯის ნორმატიულ დოკუმენტში - სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესში;
- ✓ გაიზარდა როგორც კოლეჯის დირექციის, ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ასევე პროფესიულ განათლების მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურება;
- ✓ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა გამოკითხვები და მეცადინეობეზე დასწრება, საჭიროების შემთხვევაში გაიცა რეკომენდაციები;
- ✓ განახლებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადების პროგრამების კატალოგი.

<u>პროფესიული განათლების რეფორმების კვალდაკვალ პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დამატება</u>

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დანერგვამ არსებითად გაზარდა ახალგაზრდების ჩართულობა პროფესიულ განათლებაში, გამომდინარე იქიდან, რომ მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სისტემამ შესთავაზოს საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისი სერვისები ზრდასრულ მოსახლეობასაც.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მიწოდება ზრდასრული მოსახლეობისათვის წარმოადგენს ქმედით ინსტრუმენტს მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაციისათვის.

საანგარიშო პერიოდში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სსიპ კოლეჯმა ,,მერმისი“ მოიპოვა პროფესიული მომზადების პროგრამის „ტყავის აქსესუარების შექმნის ხელოვნება“ განხორციელების უფლება.

პროგრამის მიზანია მოკლე ვადაში მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ტყავის აქსესუარების კონსტრუირებასა და დამზადებას და შეუძლია დასაქმდეს ტყავის აქსესუარების მწარმოებელ საშუალო და მცირე საწარმოებში ან იყოს თვითდასაქმებული - დააფუძნოს სახელოსნო და იმუშაოს კერძო შეკვეთებზე.

კონტიგენტის მოძრაობა

2025 წლის საგაზაფხულო მიღებასთან დაკავშირებით, კოლეჯმა მიღება გამოაცხადა 5 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის 2 პროგრამაზე ,,სასტუმრო მომსახურება“ და ,,სარესტორნო მომსახურება“, რომლეშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების სწავლის შედეგები.

2025 წლის გაზაფხულის მიღების პროფესიულ სტუდენტთა სტატისტიკა

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროგრამის ტიპი	მისაღები სტუდენტების რაოდენობა		რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა		ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა	
			სტუდენტები	სსსმ სტუდენტები	აპლიკანტები	სსსმ აპლიკანტები	სტუდენტები	მათ შორის სსსმ სტუდენტები
1	კულინარიის ხელოვნება	მოდულური	68	9	305	17	62	5
2	კონდიტერია	მოდულური	20	3	236	11	23	3
3	ელექტროობა	მოდულური	20	3	155	1	16	
4	სასტუმრო მომსახურება	ინტეგრირებული	22	3	41	4	14	
5	სარესტორნო მომსახურება	ინტეგრირებული	29	3	36	3	9	
	სულ ჯამი		**159**	**21**	**773**	**36**	**124**	**8**

2025 წლის შემოდგომაზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, კოლეჯმა ,,მერმისი“ კოლეჯმა მიღება გამოაცხადა 14 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 316 ვაკანტურ ადგილზე, ასევე 37 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის, მათ შორის სამ პროგრამაზე: გრაფიკული დიზაინი, ტყავის ნაკეთობათა წარმოება და სარესტორნო მომსახურება, რომელშიც ინტეგირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კოლეჯმა გაითვალისწინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,კულინარიის ხელოვნება“ სწავლის მსურველ პირთა ინტერესები, გამომდინარე იქიდან, რომ კონკურსი იყო ძალიან დიდი, ერთ მისაღებ ადგილზე 23 აპლიკანტი მოდიოდა და მისაღები ადგილების რაოდენობა 9 აპლიკანტიდან გაზარდა 23 აპლიკანტით.

2025 წლის შემოდგომის მიღების პროფესიულ სტუდენტთა სტატისტიკა

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროგრამის ტიპი	მისაღები სტუდენტების რაოდენობა		რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა		ჩარიცხული სტუდენტები	
			სტუდენტები	სსსმ სტუდენტები	აპლიკანტები	სსსმ აპლიკანტები	სტუდენტი	მათ შორის სსსმ სტუდენტი
1	ელექტროობა	მოდულური	18	2	80	1	13	
2	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი	მოდულური	18	2	57	4	14	1
3	იატაკის და ფილის სამუშაოები	მოდულური	16	2	48	2	14	1
4	თმის მომსახურება	მოდულური	36	4	68	2	15	
5	მომინანქრება	მოდულური	18	2	73	13	12	1
6	ძრავას შეკეთება	მოდულური	18	2	72	1	14	
7	ტყავის ნაკეთობათა წარმოება	ინტეგრირებული	28	4	38	1	6	

8	ადმინისტრაციული სერვისები	მოდულური	36	4	67	2	20	
9	გრაფიკული დიზაინი	ინტეგრირებული	18	2	62	7	19	1
10	სავალი ნაწილის შეკეთება	მოდულური	18	2	60	0	9	
11	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	მოდულური	18	2	128	2	18	
12	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი	მოდულური	45	6	117	2	33	1
13	კულინარიის ხელოვნება	მოდულური	23	1	208	12	22	1
14	სარესტორნო მომსახურება	ინტეგრირებული	20	2	52	1	14	
	სულ ჯამი		**330**	**37**	**1124**	**50**	**223**	**6**

საშემოდგომო მიღებაზე ჩარიცხულმა 6 პროფესიულმა სტუდენტმა, გამომდინარე იქიდან რეგისტრაციისას საგამოცდო ენად აირჩია მშობლიური ენა: რუსული, აზერბაიჯანული და სომხური, სწავლა დაიწყეს ,,ქართული ენა A2“ მოდულით, ამავდროულად ერთმა სტუდენტმა სწავლა უნდა გააგრძელოს ,,ქართული ენა B1” მოდულით.

2025 წელსაც გაგრძელდა აქტიური თანამშრომლობა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან ზრდასრული მოსახლეობისათვის მომზადების პროგრამების შეთავაზების გზით. მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისა და დასაქმების მიზნით, სასწავლო კურსები პენიტენციურ დაწესებულებებში მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ორგანიზაციის მხარდაჭერით მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის ინიციატივითა და კოლეჯ „მერმისის“ მხარდაჭერით, მოკლევადიანი სასწავლო კურსები N5, N15 და N16 პენიტენციურ

დაწესებულებებში ჩატარდა. პროექტის ფარგლებში, 45 მსჯავრდებული გადამზადდა და მათ სწავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.

- ✓ N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ქალი მსჯავრდებულები სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის, ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგიასა და ქართული ფარდაგის ქსოვას დაეუფლნენ.
- ✓ N15 დაწესებულებაში - ელექტრული მონტაჟი და კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით,
- ✓ N16 პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულებმა ელექტრული მონტაჟისა და კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით შეისწავლეს.

პროექტის ფარგლებში, მსჯავრდებულებმა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები შეიძინეს.

2025 წლის სტატისტიკა პროფესიული მომზადების პროგრამების მიხედვით

N	პროგრამის დასახელება	მიღების ტიპი	ჩარიცხული მსმენელები	კურს დამთავრებულთა რ-ბა	სერტიფიკატი მიიღო	ამჟამად სწავლობს	შენიშვნა
1.	კონდიტერიის ხელოვნება	ღია	15	15	13		უნარების სააგენტო
2.	სასტუმროს მიღება-განთავსების განყოფილების მომსახურება	ღია	9	8	7		დასაქმების სააგენტო
3.	ელექტრული მონტაჟი	დახურული	12	11	9		N15 პენიტ. დაწეს.
4.	სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-	ღია	12	12	12		დასაქმების სააგენტო

	პროდუქტების საწარმოებში						
5.	ქართული ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა	დახურული	9	7	6		N5 ქალთა პენიტ. დაწ.
6.	ელექტრული მონტაჟი	ღია	15	15	15		უნარების სააგენტო
7.	ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება	ღია	30	27	26		უნარების სააგენტო
8.	ელექტრული მონტაჟი	დახურული	9	8	5		N15 პენიტ. დაწ.
9.	ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგია	დახურული	9	9	9		დასაქმების სააგენტო
10.	ქართული ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა	დახურული	10			10	N5 ქალთა პენიტ. დაწ.
11.	ელექტრული მონტაჟი	ღია	15	14	13		უნარების სააგენტო
12.	სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში	ღია	12	12	12		უნარების სააგენტო
13.	ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგია	დახურული	12	10	9		N15 პენიტ. დაწ.
14.	ტიხრული მინანქრის დამზადების ტექნოლოგია	დახურული	9	5	5		N5 პენიტ. დაწ.
15.	ელექტრული მონტაჟი	დახურული	7	6	6		N8 პენიტ. დაწ.
16.	კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით	დახურული	8	6	5		N8 პენიტ. დაწ.

17.	ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება	ღია	22			22	უნარების სააგენტო
18.	სურსათის უვნებლობისა და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული უზრუნველყოფა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში	ღია	12			12	უნარების სააგენტო
		სულ ჯამი	227	165	152	40	

განხორციელებული პროექტები

2025 წელსაც კვლავ აქტიურად გაგრძელდა თანამშრომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის ,,პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“ განხორციელების მიზანს წარმოადგენს თბილისში უმუშევრობის დონის შემცირება, პროფესიული სწავლებით სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა. ასევე, საწარმოების მოთხოვნილებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება.

კოლეჯმა გაითვალისწინა როგორც სწავლის მსურველ პირთა ინტერესები, ასევე დამსაქმებელთა საჭიროებები და საანგარიშო პერიოდში განაცორციელა ორი ახალი მოკლევადიანი პროგრამა: გაზაფხულის ნაკადზე - ქვილთი (ქსოვილის მხატვრული დაგვირისტება) და შემოდგომის ნაკადზე - ელექტრონული ცხრილების პროგრამა ,,Ms Excell" და ურბანული მებაღეობა.



2025 წლის სტატისტიკა მოკლევადიანი პროგრამების მიხედვით პროექტის „პროფესიული განათლება - დასაქმებისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა“ ფარგლებში

N	მოკლევადიანი პროგრამის დასახელება	2025 წლის გაზაფხულის ნაკადი				2025 წლის შემოდგომის ნაკადი			
		მისაღები რაოდენობა	რეგისტრირებულთა რაოდენობა	ჩარიცხული მსმენელები	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	მისაღები რაოდენობა	რეგისტრირებულთა რაოდენობა	ჩარიცხული მსმენელები	კურსდამთავრებულთა რაოდენობა
1	კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საშუალებით რიცხვით პროგრამული დანადგარების მართვა	10	112	10	9	136	10	10	9

	(CNC და ლაზერული მჭრელი)								
2	ფილამწყობი	10	68	10	10	10	90	10	10
3	ქვილთი (ქსოვილის მხატვრული დაგვირისტება)	10	79	10	10				
4	ქალის სტილისტი (შეჭრა, ვარცხნილობები)	10	108	10	10	10	208	9	8
5	ელექტრიკოსი	10	93	10	8	10	173	11	11
6	ტიხრული მინანქარი	10	216	10	10	10	219	10	7
7	პურ-ფუნთუშეულის დამზადება	10	238	10	9	20	251	20	19
8	ტყავის აქსესუარების კერვა	20	320	20	18	20	274	20	19
9	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	10	349	10	9	10	190	10	10
10	მზარეული (ქართული და ევროპული სამზარეულო)	20	614	20	20	40	525	40	38
11	ტორტების დამზადება და მორთვა მარციპანით	10	360	10	10	20	363	20	20
12	ტყავის და ბეწვის აქსესუარების კერვა					10	187	10	10
13	ელექტრონული ცხრილების პროგრამა ,,Ms Excell"					30	315	30	27
14	ურბანული მებაღეობა					10	195	10	10
სულ		130	2557	130	123	336	3000	210	198

2025 წელს კვლავ აქტიურად გაგრძელდა თანამშრომლობა საჯარო სკოლებთან. ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებში

პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, 4 საჯარო სკოლაში, განხორციელდა 4 პროფესიული განვითარების უნარების კურსი 8 ჯგუფში და 114 სკოლის მოსწავლე დაეუფლა პროფესიას.

პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსის განხორციელების მიზანს წარმოადგენს მოსწავლემ აღმოაჩინოს საკუთარი უნარები და შესაძლებლობები, ასევე სხვადასხვა სფეროს ინტერესები, რომელსაც მომავალში დანიშნულებისამებრ გამოიყენებს.

მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ მოკლე პერიოდში შეიძლება დაეუფლოს პროფესიას, შეძლოს დასაქმება (თვითდასაქმება) და ჩამოყალიბდეს თავისუფალ მოქალაქედ დემოკრატიული საბაზრო ეკონომიკის საქართველოში. ასევე მათი მოტივირება პროფესიული განათლების მისაღებად.

2025 წლის სტატისტიკა პროფესიული უნარების კურსების ფარგლებში

N	პროფესიული უნარების კურსი	სკოლა	ჩარიცხულთა მოსწავლეთა რაოდენობა	დაამთავრა
1	სურსათის უვნებლობის პროფესიებში	სსიპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ არშის საჯარო სკოლა	24	24
2	სურსათის უვნებლობის პროფესიებში	სსიპ ქ. თბილისის N133 საჯარო სკოლა	30	30
3	ელექტროობის (დამწყებთათვის) პროფესიაში	სსიპ ქ,თბილისის N169 საჯარო სკოლა	30	30
4	ტიხრული მინანქრის პროფესიაში	სსიპ ქ,თბილისის N207 საჯარო სკოლა	30	30
	სულ ჯამი		114	114

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯში კონტიგენტის მოძრაობა

N	დასახელება	სწავლობდა	სტატუსი შეუწყდა	სტატუსი შეიჩერა	სტატუსი აღიდგინა	სწავლა დაასრულა	ამჟამად სწავლობს
1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	954	117	33	15	294	505
2	პროფ. მომზადების პროგრამა	227	22			165	40

3	სკოლის პროექტი	114				114	
4	მერიის პროექტი ,,ისწავლე და დასაქმდი“	340				340	
	ჯამი	**1635**	**139**	**33**	**15**	**913**	**545**

2025 წლის საანგარიშო წლის განმავლობაში სტუდენტთა/მსმენელთა სახელობითი რაოდენობა

დასახელება	სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა
პროფ. საგანმ. პროგრამები	954
მერია	340
სკოლა	114
სულ მომზადება-გადამზადება	**227**
ჯანდაცვა	18
ციხე	76
უნარები	133
სულ ჯამი	**1635**

კოლეჯი „მერმისი“ აგრძელებს მწვანე უნარების განვითარების მხარდაჭერას. ევროკავშირის დაფინანსებული და ავსტრიის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებული პროექტის „მწვანე უნარების ხელშეწყობა მდგრადობისთვის (PROGRESS)“ ფარგლებში ა(ა)იპ „ქეა კავკასია“-სა და სსიპ კოლეჯს „მერმისი“ შორის გაფორმებული პროექტის მიზანია, მოკლევადიანი სასწავლო კურსის „მწვანე უნარები კვების ობიექტების მდგრადობისთვის“ მაღალ დონეზე მიწოდება, მცირე და საშუალო ზომის კვების სერვისების მწვანედ ტრანსფორმაციის პროცესის ხელშეწყობა, ასევე კოლეჯებსა და სექტორულ პარტნიორებს შორის მდგრადი თანამშრომლობის გაძლიერება და კვების სერვისების სექტორში ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი, „მწვანე ტრანსფორმაციის“ პროცესის ხელშეწყობა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის: ,,კულინარიის ხელოვნება“ და ,,კონდიტერია“ ენერგოეფექტური ინვენტარის შესყიდვა: კონვენქციური ღუმელი, მაცივრები, პლანეტარული მიქსერი, საკვების ვაკუმმაიზერი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები

2025 წელს კოლეჯმა „მერმისი“ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ადამიანური რესურსის განვითარების კუთხით საიტზე – ვაკანსიები საჯარო სამსახურში (HR.gov.ge) გამოაცხადა:

1. **პროფესიული განათლების მასწავლებელი** - 32 ვაკანსია - სხვადასხვა მოდულზე;

2. **ადმინისტრაციული საშტატო ერთეული** – 18 ვაკანსია (ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, შესყიდვების მენეჯერი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მენეჯერი, ქსელის ადმინისტრატორი, იურისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი).

სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ მუდმივად ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანური რესურსების მართვა ორგანიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიებების მეშვეობით. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარების აქტივობებში ჩართვით, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ ზრდას.

კონკურსის შედეგად ადამიანური რესურსის სახით დაწესებულებას დაემატა 24 პროფესიული მასწავლებელი და 7 ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

კოლეჯში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო 101 პროფესიული განათლების მასწავლებლი.

სსიპ კოლეჯში ,,მერმისი“ ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება“.

ტრენინგი ჩაატარა მოდულის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება" პროფესიული განათლების მასწავლებელმა, მოქმედმა ექიმმა, პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენერმა, ამერიკული ასოციაციის წევრმა ბორის ოსიპიანმა, რომელსაც აქვთ გადაუდებელი დახმარების სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება.

მონაწილეებმა მიღებულ თეორიულ ცოდნასთან ერთად განახორციელეს პრაქტიკული სიმულაციები.

მიმდინარე წლის 5 ნოემბერს სსიპ კოლეჯში ,,მერმისი'' კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის და მასწავლებლებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა ანამარია ბაღალიშვილმა ჩაატარა ტერენინგი თემაზე: პერსონალურ მონაცემთა დაცვა.

სწავლების მიზანი იყო: მონაწილეთა ინფორმირება პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების, პრინციპებისა და მნიშვნელობის შესახებ;, მონაწილეთა ინფორმირება მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონებისა და რეგულაციების შესახებ, მონაწილეთა უზრუნველყოფა მონაცემთა დაცვის ღონისძიებების განხორციელების შესახებ პრაქტიკული მითითებებით, მონაწილეთა ინფორმირება მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ;

კოლეჯის ადმინისტრაციამ და პროფესიულმა მასწავლებლებმა საანგარიშო პერიოდში გაიარეს შემდეგი ტრენინგები:

N	ტრენინგის დასახელება	თემატიკა	თარიღი, ადგილი	ორგანიზატორი	მონაწილეები
1	PROGRESS პროექტი	"კვების სერვისების მწვანე ტრანსფორმაცია"	27-31 იანვარი ქ. თბილისი, სასტუმრო „ბრიჯი“		ვ. დევდარიანი ხ. ნადარეიშვილი
2	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ტრენინგი	პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები	10.03.2025	განათლების სამინისტრო	ღუდუშაური, გულაზიანი, უგულავა, ნამგალაძე, დანელია, ციციშვილი, ზერეკიძე, ბეშკენაძე, მჭედლიშვილი, ცერცვაძე, ბერძენიშვილი, ლაგვილავა, ნოდარიშვილი, გურასპაშვილი, ჟორჟოლიანი, კოროშინაძე მაისურაძე
3	პროექტის წერა და მართვა	ტრენინგის მიზანია, პროექტის მონაწილეებს გაუღრმავოს პროექტების წერასთან დაკავშირებული საჭირო ცოდნა და განუვითაროს სხვადასხვა უნარი, რომლის შედეგადაც ბენეფიციარებს შეეძლებათ პროექტების ინიცირება, იდეის ეფექტიანად დაგეგმვა და პროექტის დაწერა. ტრენინგის შედეგად მონაწილეებს ექნებათ კონკრეტული და პრაქტიკული ცოდნა/ინფორმაცია ევროკომისიის	26-28 მარტი	პროფესიული უნარების სააგენტო	ჟორჟოლიანი გვიმრაძე ზერეკიძე

		„ERASMUS PLUS“ პროგრამის შესაძლებლობებისა და სააპლიკაციო დოკუმენტაციის მომზადების სპეციფის შესახებ, რომელში მონაწილეობაც აპლიკანტი ან ბენეფიციარი ორგანიზაციის სახით შესაძლებელია საქართველოში დაფუძნებული სასწავლებლებისა და ორგანიზაციებისათვის.			
4	ხარისხის მართვის მენეჯერების ტრენინგი	ხარისხის მართვასთან დაკავშირებული საკითხები	11 აპრილი	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ნ. ნამგალაძე
5	პროგრამების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება	პროგრამების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება	25-27 აპრილი	GIZ	ზ. ადამაშვილი
6		HACCP პრინციპები და მართვა	22-26 აპრილი	Food Safety Consulting Center	ე. ნადარეიშვილი
7		„პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავების მეთოდები და განხორციელების უფლების მოპოვების პროცედურები".	24 ივნისი	პროფესიული უნარების სააგენტო	ლაგვილავა
8		იცნობდე შენს უფლებებს კომუნიკაციის სფეროში	03 ივლისი	მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური	ახალკაცი, ბერძენიშვილი, უგულავა ნამგალაძე ჟორჟოლიანი მგელაძე კუპატაძე გოგნიაშვილი შარვაძე უზუნაშვილი მუმლაძე ლია გრიგოლაშვილი
9		ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	09 ივლისი	მერმისი	კოროშინაძე ჯარიაშვილი

					ჟორჟოლიანი ნოდარიშვილი ჩუტკერაშვილი ნამგალაძე ნადარეიშვილი სააკაძე ჟორჟოლიანი ზერეკიძე მიშელაძე გრიგოლაშვილი ჯარიაშვილი გოგნიაშვილი მაზანაშვილი
10		შესაძლებლობების გაფართოებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების მხარდაჭერის პროცესში	16, 17, 18 ივლისი	პროფესიული უნარების სააგენტო	გაბრავა
11		ცნობიერების ამაღლების სესიები VET პედაგოგებისთვის პროექტი "მდგრადი და მწვანე ბიზნეს პრაქტიკების განვითარება საქართველოში"	17 ივლისი	**World Vision საქართველოს ფონდი**	ღუდუშაური, მჭედლიშვილი, მჭედლიშვილი, ბერძენიშვილი, კოროშინაძე, უსანეთაშვილი, დანელია, ციციშვილი, მაისურაძე, გვიმრაძე, ბეშკენაძე, ლაგვილავა, ჟორჟოლიანი, უზუნაშვილი, რუხაძე ხატია, ნადარეიშვილი ხატია, ზირაქიშვილი, დოლიძე, თაბუაშვილი, აბუაშვილი, კახიშვილი, ახალკაცი, ჩოხელი, კუპატაძე, მგელაძე

12		მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა	18 ივლისი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური	გულაზიანი უგულავა ცერცვაძე მჭედლიშვილი ბერძენიშვილი ცერცვაძე ლაგვილავა ბეშკენაძე ნამგალაძე დანელია ციციშვილი ზერეკიძე
13		ერასმუსი	25 ივლისი	უნარების სააგენტო	ჟორჟოლიანი გვიმრაძე
14		ტრენინგი "მწვანე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში".	30 ივლისი	უნარების სააგენტო	ბერძენიშვილი ბეშკენაძე ლაგვილავა ნადარეიშვილი ჩნკაშვილი
15		ცნობიერების ამაღლების სესიები VET პედაგოგებისთვის პროექტი "მდგრადი და მწვანე ბიზნეს პრაქტიკების განვითარება საქართველოში"	სექტემბერი	**World Vision საქართველოს ფონდი**	ადამაშვილი, ამნიაშვილი, ალადაშვილი, ბურჯალიანი, გრიგოლაშვილი, გუგუშვილი, კაჭარავა, ლაღიაშვილი, მიშელაძე, მამნიაშვილი მუმლაძე, მაჭავარიანი, ნარსიძე, კიკნაძე, ნამგალაძე, ჯარიაშვილი, ჩუტკერაშვილი, ქერაშვილი, ფუტკარაძე, მაზანაშვილი, რუხაძე, ნოდარიშვილი, თედორაძე, ჯღამაძე,
16		ცნობიერების ამაღლების სესიები VET პედაგოგებისთვის პროექტი "მდგრადი და მწვანე ბიზნეს	16 ოქტომბერი	**World Vision საქართველოს ფონდი**	მელიქაძე, დგებუაძე, ხოხობაშვილი, კაციაშვილი, გოგიჩიშვილი, ფიცხელაური,

		პრაქტიკების განვითარება საქართველოში"			ბოკუჩავა, გურასპაშვილი, მურღუაშვილი, გოგნიაშვილი, დემეტრაშვილი, გაბუნია, ჯიხვაშვილი, მახათაძე, ფირცხალავა, ოსიპიანი, გოჩიტაშვილი, ოდიშვილი, გულიაშვილი, ცუცქირიძე, ფერიშვილი, მიქელთაძე, შავდია
17		სადურგლო მიმართულების ვორკშოპი პროფესიული მასწავლებლებისათვის თემაზე - სამშენებლო ფიზიკის საფუძვლები დურგლის პროფესიაში – შიდა მოპირკეთება/ ფანჯრები/კარები	21-23 ოქტომბერი	ებერჰარდ შოკი	საჩალელი
18		ცნობიერების ამაღლების სესიები VET პედაგოგებისთვის პროექტი "მდგრადი და მწვანე ბიზნეს პრაქტიკების განვითარება საქართველოში"	ნოემბერი	**World Vision საქართველოს ფონდი**	გულიკაშვილი, გვრიტიშვილი, გომურიშვილი, გელაშვილი, გაბარაშვილი, პაპიაშვილი, ჩხენკელი
19		პერსონალურ მონაცემთა დაცვა	5 ნოემბერი	მერმისი	უზუნაშვილი, მჭედლიშვილი მაკა, დანელია, ჯარიაშვილი, კაჭარავა, ადამაშვილი, ბერძენიშვილი, კუპატაძე, მიმლაძე, გაბუნია, ნოდარიშვილი, კოროშინაძე, ბურჯალიანი, გრიგოლაშვილი, ნადარეიშვილი, გულაზიანი, ბეშკენაძე,

					ლაგვილავა, ნადარეიშვილი, მიქელთაძე, მამნიაშვილი, ნამგალაძე, მგელაძე, ციციშვილი, გურასპაშვილი, გოგნიაშვილი, ჩუტკერაშვილი
20		სტუდენტური სერვისები, ესტრაკურიკულური აქტივობები და არაფორმალური განათლების ღონისძიებები	1 დეკემბერი	უნარები, ელბაქიძე	ბერძენიშვილი ლაგვილავა
21		ექსტრაკურიკულური აქტივობები და დამსაქმებელთან კომუნიკაციის ეფექტიანი გზები	16-17 დეკემბერი	უნარები, ელბაქიძე	ნამგალაძე მაკა მჭედლიშვილი გვიმრაძე

სტუდენტური სერვისები

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“ სტუდენტური სერვისები განსაკუთრებულ როლს ასრულებს როგორც სტუდენტების ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებაში, ისე მათ აკადემიურ და სოციალურ განვითარებაში. სტუდენტური სერვისები მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა მაღალი ხარისხის განათლების მიღებისთვის.

კოლეჯი ახორციელებს როგორც პროფესიული სტუდენტების აკადემიურ მხარდაჭერას, ასევე კარიერულ განვითარებას, სთავაზობს სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ აქტივობებს არაფორმალური განათლების ფარგლებში.

დევნილთა დაარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ ”პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში 2025 წელსას გაგრძელდა დევნილი სტუდენტების სწავლის პერიოდში ტრანსპორტის ხარჯების აუნაზღაურება.

კოლეჯმა „მერმისმა“ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს „სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში“ მოიპოვა ორი პროექტის „ურბანულ ფერმერთა ჰაბი“ და „ინგლისურენოვან მკითხველთა კლუბი - LAB“ განხორციელების უფლება.

„ურბანულ ფერმერთა ჰაბი“-ს მიზანს წარმოადგენდა: საკვების გაზრდა ურბანულ სივრცეში, სტუდენტების განათლება, ქალაქების მდგრადობა, ურბანული სოფლის მეურნეობის პოპულარიზაცია და ამ მიმართულებით ფართო საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება.

პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ კოლეჯის სტუდენტები, მასწავლებლები, კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, კოლეჯის სტუდენტთა ოჯახები.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი კომპანიის ა(ა)იპ ''საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობებების მწარმოებელთა ასოციაციის" ხელმძღვანელმა ნინო ხარხელაურმა კლუბის "ურბანულ ფერმერთა ჰაბის" წევრებისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე - რა არის ურბანული სოფლის მეურნეობა.

განხილული იყო ურბანული სოფლის მეურნეობის სქემები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ა(ა)იპ 'საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობებების მწარმოებელთა ასოციაციის" ხელმძღვანელისა და კლუბის „ურბანულ ფერმერთა ჰაბის“ წევრების აქტიური ჩართულობით კოლეჯის ტერიტორიაზე მოეწყო სათბური, განხორციელდა ჯუჯა ხეხილის დარგვა.

,,ინგლისურენოვან მკითხველთა კლუბი - LAB''-ის მიზანს წარმოადგენდა: წიგნიერების დონის ამაღლება, ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბება, დისკუსიის კრიტიკული აზროვნების და ანალიზის უნარის ჩამოყალიბება, ინგლისურ ენაზე ზეპირმეტყველების უნარების განვითარება.

პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ: კოლეჯის სტუდენტები, კოლეჯის კურსდამთავრებულები, პარტნიორი სკოლების მოსწავლეები და მიმდებარე თემის სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები.

ექსტრაკურიკულური აქტივობების ფარგლებში პერიოდულად ხორციელდებოდა მკითხველთა კლუბის წევრების შეხვედრა.

შეხვედრაზე განხიხილავდნენ სხვადასხვა მწერლების ნაწარმოებებს: როგორიცაა ერნესტ ჰემინგუეის "მოხუცი და ზღვა", არტურ კონან დოილის "შერლოკ ჰოლმსი" მოდერატორებმა წარმოადგინეს ვიდეორგოლი და პრეზენტაცია

ავტორისა და ნაწარმოების შესახებ. კლუბის წევრებმა მსჯელობდნენ მასწავლებლების მიერ დასმული შეკითხვების ირგვლივ, იღებდნენ მონაწილეობას ჯგუფურ დავალებაში.



წევრებისთვის ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე "დებატების წარმოების ხელოვნება" და "დისკუსიის კულტურა", რომელსაც უძღვებოდა დებატების ინსტიტუტის პროგრამის ხელმძღვანელი, ტრენერი სოფიო ვეფხვაძე. ტრენინგის განმავლობაში სტუდენტები გაეცნენ დებატების წარმოების ტექნიკას და კულტურას, ასევე მათ შეასრულეს პრაქტიკული დავალებები.

პროექტის ფარგლებში ასევე გაიმართა მოწვეულ ამერიკელ პედაგოგთან შეხვედრა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა კლუბის წევრებისთვის ინგლისურ ენოვანი ნაწარმოებების ავთენტურ ენაზე მოსმენა, მათთვის მეტყველების, წაკითხულის გააზრების და განხილვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში სსიპ კოლეჯში "მერმისი" ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ,,ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტების "ურბანულ ფერმერთა ჰაბისა" და ,,ინგლისურენოვან მკითხველთა კლუბი - LAB“ დახურვის ღონისძიება გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი ირინე მარგიშვილი და წარმომადგენლები, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრობის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი თამარ მოსულიშვილი და წარმომადგენლები.

კოლეჯის დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა და პროექტის პარტნიორი კომპანიის ხელმძღვანელმა ნინო ხარხელაურმა მოწვეულ სტუმრებს დაათვალიერებინეს კოლეჯის ტერიტორიაზე შექმნილი კიდევ ერთი რეკრიაციული და დასასვენებელი სივრცე - ურბანულ

ფერმერთა ჰაბის ტერიტორია, სადაც მოეწყო სათბური, დაირგო ჯუჯა ხეხილის ხეები და მოიყვანეს სხვადასხვა ბოსტნეული.

კოლეჯის მიერ განხორციელებული მეორე პროექტის ,,ინგლისურენოვან მკითხველთა კლუბი - LAB“ წევრებმა, კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა, წარმოადგინეს პრეზენტაცია პროექტის მიმდინარეობს შესახებ. სტუმრებმა ასევე იხილეს მინი სპექტაკლი არტურ კონან დოილის მოთხრობების კრებულ "შერლოკ ჰოლმსის" მიხედვით ინგლისურ ენაზე, როლებს კოლეჯის სტუდენტები ასახიერებდნენ.

სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის ფარგლებში, კოლეჯში ამოქმედდა მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს იმ პროფესიულ სტუდენტებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან თავიანთი სპეციალობით, ეძლევათ შესაძლებლობა, სამუშაო ადგილი ჩაითვალოთ საწარმოო პრაქტიკად. აღნიშნული აღიარება ხდება სტუდენტის მიერ წარდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტაციის — შრომითი ხელშეკრულებისა და დამსაქმებლის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ზემოაღნიშნული ერთის მხრივ ხელს უწყობს სტუდენტის რეალურ შრომით ბაზარზე ინტეგრაციას და მეორეს მხრივ აკადემიური პროცესის მოქნილობას.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, საანაგარიშო პერიოდში კოლეჯის 8 სტუდენტს მუშაობის პერიოდი ჩაეთვალათ საწარმოო პრაქტიკად:

1. პროგრამა ,,კულინარიის ხელოვნება“ – 3 პროფესიული სტუდენტი;
2. პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება“ – 2 პროფესიული სტუდენტი;
3. პროგრამა ,,სარესტორნო მომსახურება“ (ინტეგრირებული) – 2 პროფესიული სტუდენტი;
4. პროგრამა ,,საოფისე საქმე“ – 1 პროფესიული სტუდენტი.

,,მერმისი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "თმის მომსახურება" პროფესიულმა სტუდენტებმა პროფესიული მასწავლებლის ნინო ბოკუჩავას ხელმძღვანელობით აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომპანია "ნოვატორის" ორგანიზებით სასტუმრო მარიოტში გამართულ ფრანგული საერთაშორისო ბრენდის "ეუჟენია პერმას" პროფესიულ მასტერკლასში.

სსიპ კოლეჯი "მერმისი" საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარების, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორისაა გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება SES-ი. ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული ორგანიზაციის არაერთი სხვადასხვა დარგის ექსპერტი იყო მოწვეული კოლეჯში, რაც დადებითად აისახა პროგრამების განვითარებაზე.

საანგარიშო პერიოდში ,,მერმისს“ კვლავ ესტუმრა ევროპული განათლების გამოცდილების გაზიარების, პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და სტუდენტთა სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით SES გერმანელი ექსპერტი "კულინარიის ხელოვნების" პროგრამის მიმართულებით იურგენ აუთენრითი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნება“ განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს გააცნო ევროპული

სწავლების მეთოდები, დაესწრო თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, ჩაატარა მასტერკლასი.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტმა SES-ის ექსპერტმა იურგენ აუთენრითმა კოლეჯის თანამშრომლებს პრეზენტაციის სახით წარუდგინა ინფორმაცია ჯანსაღი კვების თავისებურებებისა და უპირატესობების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიულ სტუდენტებს შორის გაიმართა კონკურსი „კულინარიული ჰაკათონი“.

სტუდენტთა ნამუშუშევრები შეაფასა ჟიურიმ შემდეგი შემადგენლობით: კოლეჯის დირექტორი - ნონა ღუდუშაური, SES ექსპერტი კულინარიის მიმართულებით - იორგენ ოუთენრის, კომპანია გოემიოს დამფუძნებელი მია კუპრავა და კოლეჯის პედაგოგი, მსოფლიო მსაჯი და რესტორატორი გოგი ბაზანდარაშვილი. კონკურსში მონაწილე ყველა სტუდენტს გადაეცა სიგელები, ხოლო პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულებს დიპლომები და მედლები.

კოლეჯი „მერმისი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინკლუზიური განათლების მნიშვნელობის გაცნობიერებასა და ცნობადობის ამაღლებას სტუდენტურ საზოგადოებაში. კოლეჯის მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ სტუდენტს — მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ახალგაზრდებს ექნებათ თანაბარი შესაძლებლობები სწავლასა და პროფესიულ განვითარებაში.

კოლეჯში რეგულარულად ტარდება საინფორმაციო სესიები და პრეზენტაციები, სადაც სტუდენტებს ეცნობებათ ინკლუზიური განათლების არსი, მიზნები და პრინციპები.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, წლევანდელ კამპანიას ,,აჩუქე წინდა“ ტრადიციულად კოლეჯი ,,მერმისი“ შუერთდა.

ცნობიერების ამაღლების მიზნით კოლეჯის სტუდენტებისთვის გაიმართა ფილმის ჩვენება დაუნის სინდრომის შესახებ.

2025 წლის 14 ივნისს შშმ პირების უფლებების დაცვის დღეს თან დაკავშირებით სსიპ კოლეჯში „მერმისი“ ცნობიერების ამაღლების მიზნით ყოველწლიურად ტარდება ღონისძიება. ამჯერად ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში კოლეჯში იმყოფებოდნენ ასოციაციის „ანიკა“ წარმომადგენლები, რომლებმა მსმენელებს წარუდგინეს პრეზენტაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების პროგრამის შესახებ და გააცნეს სხვადასხვა დამატებითი ტექნოლოგიები და ხელსაწყოები, რომლებიც ამარტივებს შშმ პირთა კომუნიკაციის და კომპიუტერთან მუშაობის პროცესს.

კოლეჯში „მერმისი“ პერიოდულად იმართება საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებისთვის, რომელთა მიზანია სტუდენტების ინფორმირება სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. აღნიშნული ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას, ცნობიერების ამაღლებას და სწავლების პროცესისადმი მოტივაციის ზრდას.

საანგარიშო პრიოდში ,,მერმისი" პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: თამბაქოსა და არალეგალური ნარკოტიკების მავნებლობა, რომელიც ჩაატარა სარეაბილიტაციო ცენტრის წარმომადგენელმა, ლექტორმა შოთა ოდიშვილმა.

სსიპ კოლეჯში ,,მერმისი‘‘ გაიმართა საინფორმაციო კამპანია "იცნობდე შენს უფლებებს კომუნიკაციების სფეროში".

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილეს კომუნიკაციის სფეროში თანამედროვე გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. მიიღეს ინფორმაცია მათი უფლებების, ასევე კომპანიების ვალდებულებებისა და მომხმარებელთა განცხადებების წარმოდგენის, განხილვის წესებისა და ვადების შესახებ.

შეხვედრა ინტერაქციული ხასიათის იყო – მონაწილეებს დაურიგდათ საინფორმაციო ბროშურები, ისინი აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიებში, გაეცნენ პრაქტიკულ მაგალითებსა და მიიღეს პასუხები მათთვის მნიშვნელოვან კითხვებზე.

პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სსიპ კოლეჯის "მერმისი" დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა მადლობის სიგელები გადასცა პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის "სამკერვალო წარმოება" პროფესიულ სტუდენტებს მასწავლებლებთან ერთად კოლექციის "სტიქიური მოვლენები" შექმნაში მონაწილეობისათვის, რომელმაც ხელი შეუწყო კოლეჯს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს დარგობრივი კონკურსის პრიზის "პროფესიული განათლება მოდის ინდუსტრიისათვის" მიღებაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ სტუდენტებს შორის წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების, მათთვის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული პრაქტიკული გამოცდილების ხელმისაწვდომობის, რეგიონული კულინარიული პოტენციალის პოპულარიზაციისა და კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით გაიმართა კულინარიული კონკურსი, რომლის პარტნიორი და მხარდამჭერი იყო საქართველოს შეფთა ასოციაცია **Chefs Association Georgia** , რომელიც მსოფლიო შეფთა ასოციაციის (Worldchefs) ოფიციალური წევრია.

სტუდენტთა ნამუშევრებს აფასებდა ჟიური შემდეგი შემადგენლობით: ფაბრის დელბარტ, თემო კარდენახიშვილი, მანუელ ფაუნდეს ბარანდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს, ტურიზმისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები, შეფ-მზარეულები.

კონკურსის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სერტიფიკატით, ხოლო გამარჯვებული გუნდი სერტიფიკატებითა და საჩუქრებით.

კოლეჯში "მერმისი" საგანმანათლებლო კვლევების ეროვნულმა ცენტრმა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით ფართომასშტაბიანი კვლევის ფარგლებში ჩაატარა პროფესიულ სტუდენტებს შორის კვლევა.

კვლევის მიზანი იყო ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა და სისტემური ანალიზი, რომელიც მომავალში დაეფუძნება ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარებას. კოლეჯის სტუდენტები აქტიურად ჩაერთნენ პროცესში და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს.

საანგარიშო პერიოდში კოლეჯში „მერმისი“ სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებისა და ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ჩატარდა სემინარი, რომელიც ორ გლობალურ გამოწვევას - აივ ინფექცია/შიდსისა და ტუბერკულოზის თემატიკას მიეძღვნა.

სემინარი გაიმართა საქართველოს ჯანმრთელობის ფედერაციისა და საქართველოს ჯანმრთელობისა და განათლების ფონდის ორგანიზებით, ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობით. სემინარს უძღვებოდნენ ფონდის წარმომადგენლები, გიორგი მაღრაძე და ნინო ჩხეტიანი.

შეხვედრა ინტერაქტიული ფორმატით წარიმართა, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევდა მიეღოთ სიღრმისეული პასუხები მათი ინტერესის სფეროში არსებულ კითხვებზე.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

სსიპ - კოლეჯის „მერმისი” დირექცია მუდმივად ზრუნავს კოლეჯის სასწავლო სახელოსნოებისა და განახლებაზე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კოლეჯი საჭიროების მიხედვით ახდენდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესებას და საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამებისათვის საჭირო იარაღების განახლებას.

კოლეჯის მიერ, კოლეჯის შენობების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, თანამშრომელთა და მსმენელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კოლეჯის შენობების როგორც გარე პერიმეტრზე, ასევე შენობების შიდა სივრცეში მთლიანად შეიცვალა და დამონტაჟებული იქნა ახლი ვიდეოსათვალთვალო სისტემა, IP კამერები შესაბამისი ჩამწერი მოწყობილობებით, რომლის ღირებულებამ შეადგინა **75969,0** (სამოცდახუთმეტიათას ცხრაას სამოცდაცხრა) ლარი.

კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვისა და განახლების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **“გრაფიკული დიზაინი"** შეძენილი იქნა პროგრამისთვის შესაბამისი მონაცემების მქონე 24 კომპლექტი ახალი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერი საერთო ღირებულებით - **86904,00** (ოთხმოცდაექვსიათას ცხრაას ოთხი) ლარი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" სახელოსნოსთვის შეძენილი იქნა: საუთოო მაგიდა ვაკუმური ძრავით, საუთოო ორთქლის ბოილერი და ორი ცალი ორთქლის უთო საერთო ღირებულებით **3970,00** (სამიათას ცხრაას სამოცდაათი) ლარი. ამას გარდა პროგრამისთვის შეძენილი იქნა **1050,00** (ათას ორმოცდაათი) ლარის სამუშაო იარათები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “მომინანქრება” სახელოსნოსთვის შეძელი იქნა სამუშაო იარაღები ღირებულებით **6550,00** (ექვსიათას ხუთას ორმოცდაათი) ლარი.

პროფესიული საგანმანათლებლო პრგრამების - “კულინარიის ხელოვნება” და “კონდიტერია” სახელოსნოებისთვის მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის ხელშეკრულების ფარგლებში პროექტის „მწვანე უნარების ხელშეწყობა მდგრადობისთვის (PROGRESS)“ განხორციელების მიზნით კოლეჯის მიერ შეძენილი იქნა სხვადასხვა აღჭურვილობა: საკვების ვაკუმაიზერი (ვაკუუმის აპარატი), შოკ-მაცივარი, საკვების დეჰიდრატორი (საშრობი), 2 ცალი ორკარიანი მაცივარი, კონვექციური ღუმელი, პლანეტარული მიქსერი და სუვიდის აპარატი, რომელთა ღირებულბამ შეადგინა **49 390,00** ლარი. აღნიშნული სახელოსნოებისთვის კოლეჯის მიერ შეძენილი იქნა ასევე **1859,00** ლარის სამუშაო იარაღები.

პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურებისთვის” შეძენილი იქნა **3838,00** ლარის ჭურჭელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მხატვრული ქსოვა" სახელოსნოსთვის შეძენილი იქნა ახალი წყლის გამაცხელებელი და ელექტრო ქურა ღირებულებით **770,00** ლარი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თმის მომსახურება” სახელოსნოსთვის შეძენილი იქნა **1970,00** ლარის სამუშაო იარაღები.

ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს „სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების

ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში ,,ურბანულ ფერმერთა ჰაბი” ფარგლებში კოლეჯის ეზოში მოეწყო 60 კვ/მ პოლიკარბონატის სათბური, რომელშიც გადახდილი იქნა **11600,00** ლარი. სტუდენტთა დასასვენებელი სივრცის მოწყობის მიზნით, პოლიკარბონატის სათბურის გვერდთ ეზოს სკვერისთვის შეძენილი 4 ცალი მრგვალი მაგიდა სკამებით რაშიდაც გადახდილი იქნა **5400,00** ლარი.

პროექტის "ინგლისურენოვან მკითხველთა კლუბის LAB" ფარგლებში კოლეჯში მოეწყო ინგლისური ენის კაბინეტი, შეძენილი იქნა ინტერაქტიული სმარტ ეკრანი, ხმის გამაძლერებელი და ყურსასმენები, მკითხველთათვის შეძენილი იქნა სხვადასხვა ავტორის ინგლისურენოვანი (ადაპტირებული) საკითხავი წიგნები, კაბინეტისთვის შეძენილი იქნა სხვადასხვა ფერის პუფები რაზედაც გახარჯული იქნა **7725,0** ლარი.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულისთვის “სპორტი” შესყიდული იქნა და ტრნაჟორების ოთახში დამატებით შეტანილი იქნა ახალი სპორტული ინვენტარი ღირებულებით - **5373,00** ლარი.

საანგარიშო პერიოდში კოლეჯის სასწავლო სახელოსნოებისა და კლას-ლაბორატორიებისთვის შეძენილი და შეცლილი იქნა სანათი მოწყობილობები, რომელშიც გაიხარჯა 8575,00 ლარი.

კერძო სექტორთან თანამშრომლობა

კოლეჯი ,,მერმისი‘‘ პრიორიტეტულად მიიჩნევს კერძო სექტორთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მაქსიმალურ დაახლოებას. თანამშრომლობის მიზანია: სტუდენტებისთვის რეალური სამუშაო გარემოსთან წვდომის უზრუნველყოფა, საწარმოო პრაქტიკის მაღალხარისხიანად განხორციელება, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული კადრების მომზადება, დასაქმების ხელშეწყობა სწავლის პარალელურად ან მის დასრულებისთანავე.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან, რაც გულისხმობს შეხვედრების ორგანიზებას, გამოცდილების გაზიარებას, მათ ჩართულობას კოლეჯის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების, პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობას, სტუდენტების საწარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას, სტაჟირებასა და შემდგომ დასაქმებას.

2025 წლის განმავლობაში გაფორმდა 30-ზე მეტი მემორანდუმი და თანამშრომლობის ხელშეკრულება სხვადასხვა პროფილის კომპანიასთან, მათ შორის სასტუმროებთან, რესტორნებთან, საწარმოო და მომსახურების სექტორის ორგანიზაციებთან, მოდისა და დიზაინის სახლებსა და ტექნიკურ კომპანიებთან. აღნიშნული თანამშრომლობები უზრუნველყოფს სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე განაწილებას, რეალურ სამუშაო გარემოში ჩართულობასა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდას.

საანგარიშო პერიოდში დასაქმების თაობაზე ვაკანსიები შემოვიდა 300-ზე მეტი კომპანიიდან.

აღშანიშნავია, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულები ხშირ შემთხვევაში სწავლის დასრულებისთანავე საქმდებიან

სსიპ კოლეჯის „მერმისი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
„კულინარიის ხელოვნება“
კურსდამთავრებული
საბა ცოფურაშვილი

სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმდა
„შერატონ გრანდ მეტეხი პალასში“
დემი შეფი დეპარდიეს პოზიციაზე

სსიპ კოლეჯის „მერმისი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის
„კულინარიის ხელოვნება“
კურსდამთავრებული

საბა გრიგალაშვილი

სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმდა
სასტუმრო „ტელეგრაფში“
დემი შეფის პოზიციაზე

სსიპ კოლეჯის „მერმისი“
პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის
„კულინარიის ხელოვნება“ კურსდამთავრებულები

თორნიკე თეთრაძე
შეფ დეპარტიე

მარიამ ლობჯანიძე
შეფ დეპარტიე

ანი მეტრეველი
შეფ დეპარტიე

ლაშა ქიზიყელაშვილი
მზარეული

2025 წლის განმავლობაში საწარმოო პრაქტიკაზე განაწილდა 150-ზე მეტი სტუდენტი სხვადასხვა პროფესიული მიმართულებით. პრაქტიკის დასრულების შემდეგ დაფიქსირდა დასაქმების მნიშვნელოვანი მაჩვენებლები:

- სამკერვალო წარმოება – პრაქტიკაზე გაგზავნილი სტუდენტების დაახლოებით 70% დასაქმდა;
- კულინარიის ხელოვნება – დასაქმდა პრაქტიკაზე ჩართული სტუდენტების დაახლოებით 85%;
- ტექნიკური მიმართულებები (ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემები, სავალი ნაწილის შეკეთება) – დასაქმდა 15-ზე მეტი კურსდამთავრებული;

- სილამაზის ინდუსტრია (ქალის სტილისტი, თმის მომსახურება) – პრაქტიკაზე განაწილდა 20-ზე მეტი სტუდენტი.

დასაქმება განხორციელდა ისეთ წამყვან კომპანიებში, როგორებიცაა: „თეგეტა მოტორსი“, „ტოიოტა თეგეტა“, „თბილისი მარიოტი“, „ბილთმორი“, „გრინვეი“, „ჯი ემ თი მთაწმინდა“, „ტორტინი“ და სხვა.კოლეჯი ,,მერმისი“ ხშირად არის საკუთარი კურსდამთავრებულების დამსაქმებელი.

2025 წელს კოლეჯის სამი კურსდამთავრებული დასაქმდა „ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების“ სტუდენტური, პრესტუდენტური სერვისების, კვლევის, ანალიტიკისა და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში, სსიპ ქ. თბილისის საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების კურსების გამნახორციელებელ მასწავლებლებად.

სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან გაიმართა შეხვედრები კომპანიებთან, რომლებმაც სტუდენტებს გააცნეს კომპანიებში დასაქმების შესაძლებლობები და მიმდინარე ვაკანსიები.

სსიპ კოლეჯის "მერმისი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ელექტროობა" პროფესიულ სტუდენტებთან სს "ენერგო პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის რეგიონალურმა კოორდინატორმა ზვიად გიორგაშვილმა კომპანიაში მათი შემდგომი სტაჟირებისა და დასაქმების მიზნით გამართა საინფორმაციო შეხვედრა.

სსიპ კოლეჯის "მერმისი" დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა და კომპანია "გრინვეი საქართველოს" Hr განყოფილების ხელმძღვანელმა ლინა მახარაშვილმა ინჟინერიის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "სავალი ნაწილის შეკეთება", "ძრავას შეკეთება" და "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" პროფესიულ სტუდენტებთან სტაჟირებისა და შემდგომი დასაქმების მიზნით სამუშაო შეხვედრა გამართეს.

საანგარიშო პერიოდში პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა კომპანია "გრინვეის" წარმომადგენელმა ზაქარია გაბეცაძემ, რომელმაც სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია კომპანიაში არსებული ვაკანსიების შესახებ და ესაუბრა დასაქმების შესაძლებლობებზე.

გერმანული ორგანიზაციის ებერჰარდ შოკის ფონდის **Eberhard-Schöck-Stiftung** მიერ კოლეჯში ,,მერმისი“ მიმდინარე წლის 8 და 9 ოქტომბერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა“ კურსდამთავრებულთათვის და სტუდენტებისთვის ჩატარდა ელექტროინჟინერიის სტაჟიორებისათვის განკუთვნილი თეორიული და პრაქტიკული სემინარი თემაზე ,,ფოტოელექტრული სისტემების დაგეგმვა, მონტაჟი და ექსპლუატაცია“.

სემინარს ებერჰარდ შოკის ფონდის პროექტის მენეჯერის მარსელ ბლესინგი-შუმილინის კოორდინირებით უძღვებოდნენ დიპლომირებული ინჟინერი და მზის ენერგიის ექსპერტი შვეიცარიიდან სირილ ებერჰარდტი და კოლეჯის პედაგოგი ზაზა ადამაშვილი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანული ორგანიზაციის ებერჰარდ შოკის ფონდის და შპს ინოვაციური ლაბორატორიის მიერ 2023 წელს დამონტაჟდა მზის ელექტროსადგური.



ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯი აქტიურად მუშაობს ხარისხის განვითარების კუთხით. სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით განხორციელებულ იქნა შემდეგი აქტივობები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით:

- ახალ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდა ორი პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ და „სარესტორნო მომსახურება“ მოდიფიცირება;
- განხორციელდა კოლეჯის 10 პროგრამაში: „სავალი ნაწილის შეკეთება“, „ძრავას შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, „ელექტროობა“, „მომინანქრება“, „კულინარიის ხელოვნება“, „კონდიტერია“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი“, „თმის მომსახურება“ ცვლილებების შეტანა;
- შემუშავდა და დამტკიცდა 5 ახალი პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები: „Front-end დეველოპმენტი“; „ადმინისტრაციული სერვისები“; „გრაფიკული დიზაინი“; „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ „ტყავის ნაკეობათა წარმოება“

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

- ჩატარდა პროფესიული სტუდენტების შუალედური გამოკითხვა 28 ჯგუფში;
- ჩატარებული სამუშაოების შედეგად სტატუსი აღუდგა 6 სტატუსშეჩერებულ სტუდენტს. ერთი სტუდენტისთვის შემუშავებულ იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ;
- დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით დაფინანსებული პროექტის ,,ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში გაზაფხულის ნაკადის მიღების 11 მოკლევადიანი პროგრამა: „ტყავის აქსესუარების კერვა“, „ელექტრიკოსი", „კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საშუალებით რიცხვით პროგრამული დანადგარების მართვა“ (CNC და ლაზერული მჭრელი), „მზარეული (ქართული და ევროპული სამზარეულო)", „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი", „ტორტების დამზადება და მორთვა მარციპანით", "ტიხრული მინანქარი", "ფილამწყობი", "ქალის სტილისტი (შეჭრა, ვარცხნილობები)", "პურ-ფუნთუშეულის დამზადება", "ქვილთი (ქსოვილის მხატვრული დაგვირისტება)“ , ხოლო შემოდგომის ნაკადის მიღების 13 მოკლევადიანი პროგრამა: ტყავის აქსესუარების კერვა, ელექტრიკოსი, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საშუალებით რიცხვით პროგრამული დანადგარების მართვა" (CNC და ლაზერული მჭრელი), სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, ტორტების დამზადება და მორთვა მარციპანით, ტიხრული მინანქარი, ფილამწყობი, ქალის სტილისტი, პურ-ფუნთუშეულის დამზადება, მზარეული

(ქართული და ევროპული სამზარეულო), ელექტრონული ცხრილების პროგრამა ,,Ms Excell", ურბანული მებაღეობა, ტყავის და ბეწვის აქსესუარების კერვა და რესტავრაცია.

- განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასებებზე დასწრება და შეფასების ვერიფიკაციის სამუშაოები.

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია კოლეჯ „მერმისში“ წარმოადგენს სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების დაინტერესებას პრაქტიკულ და შრომით ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებზე, მათ წარმატებულ კარიერულ განვითარებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში ჩართვას.

კოლეჯი ,,მერმისი“ აქტიურად ახორციელებს პროფესიული განათლების შესახებ საინფორმაციო კამპანიებს, რომლებიც მოიცავს: სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრებს, პრეზენტაციებსა და საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობას, სოციალური მედიის პლატფორმებზე ინფორმაციის გავრცელებას პროფესიული პროგრამებისა და წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში "მერმისი" სტუმრად იმყოფებოდნენ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი ირინე მარგიშვილი და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის გუნდის ლიდერი თამარ კაკუტია.

სსიპ კოლეჯის "მერმისი" დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია კოლეჯში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების შესახებ და დაათვალიერებინა სასწავლო სახელოსნოები.

საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი კოლეჯ ,,მერმისის" ადმინისტრაციას შეხვდა და დირექტორთან, ნონა ღუდუშაურთან, ერთად სასწავლო პროცესს გაეცნო.

მუნიციპალიტეტის დაფინანსებით შექმნილი პროექტის „ისწავლე და დასაქმდი" ფარგლებში, რომლის მიზანია სამუშაოს მაძიებელთათვის, მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება, 2018 წლიდან კოლეჯმა პროფესიული ხელობის 26 მიმართულებაზე 1600-მდე ადამიანი გადაამზადა.

სსიპ კოლეჯის „მერმისი" დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ბაია კვიციანსა და საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ თამარ კვინიკაძეს უმასპინძლა.

ვიზიტის ფარგლებში ქალბატონმა ბაია კვიციანმა და ქალბატონმა თამარ კვინიკაძემ დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიები და ლაბორატორიები. გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს და მიიღეს ინფორმაცია კოლეჯში განხორციელებული პროგრამის შესახებ.

სსიპ კოლეჯში „მერმისი" ინტერნაციონალიზაციის პროცესის ფარგლებში სტუმრად იმყოფებოდნენ ინოვაციური განათლების ფონდის დირექტორი მერაბ ლაბაძე, European Grants International Academy-სა და Training and Employment Department-ის წარმომადგენლები.

აღნიშნული ორგანიზაციები ახორციელებენ საგრანტო დაფინანსებას პროფესიული განათლების სფეროში და ხელს უწყობენ ევროპის არაწევრი ქვეყნების ჩართულობას Erasmus+ პროგრამებში. ELE_VET (პროფესიული განათლებისა და ტრენინგის გაუმჯობესებული სასწავლო გამოცდილება) პროექტი სამწლიანი Erasmus+ ინიციატივაა, რომლის მიზანია პროფესიული განათლებისა და ტრენინგის (VET) მასწავლებლებისა და ტრენერების უნარების გაუმჯობესება მეწარმეობასა და ციფრულ ტექნოლოგიებში.

სტუმრებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა, გაეცნენ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო გარემოს.

ვიზიტის მთავარი მიზანი იყო პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება, გამოცდილების გაზიარება და მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვა.

სსიპ კოლეჯმა ,,მერმისი'' მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კვირეულში VET Connect 2.0: Internaonal Week of Vocaonal Partnerships, რომელიც სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

კვირეულის ფარგლებში კოლეჯების წარმომადგენელმა წარადგინა პრეზენტაცია შემდეგ პროფესიულ მიმართულებებზე: მშენებლობა, მექანიკა და მოდის დიზაინი.

სესიებზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მონაწილეთა გამოცდილების გაზიარებასა და კოლეჯებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

კვირეულის ფარგლებში ასევე მოეწყო კოლეჯის „მერმისი“ სტენდი, სადაც წარმოდგენილი იყო ხელოვნების მიმართულების პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრები

სსიპ კოლეჯმა „მერმისი“ მონაწილეობა მიიღო ქ. ზუგდიდში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებაში, სადაც წარმოდგენილი იყო ხელოვნების მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა ნამუშევრები.

პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ,,მერმისი‘‘ ასევე აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებო დაწესებულებებთან.

ექსტრაკურიკულური აქტივობების ფარგლებში განხორციელებული პროექტის ,,სხვადასხვა ჯგუფის ქალებისა და სტუდენტების გაძლიერება: სამოქალაქო უფლებებსა და ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო სისტემებზე‘‘ ფარგლებში სტუმრად იმყოფებოდნენ შპს "თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებლის" წარმომადგენლები და პროექტში ჩართული სტუდენტები.

ვიზიტის მიზანი იყო პროექტის ბენეფიციარებს მიეღოთ დეტალური ინფორმაცია პროფესიული განათლებისა და კოლეჯში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

სსიპ კოლეჯმა "მერმისი" პროექტის ფარგლებში უმასპინძლა სსიპ ქართველ იუნკერთა სახელობის ქ.თბილისის 52-ე საჯარო სკოლისა და ქალაქ ლუდვიგსბურგის გოტლიებ დაიმლერის სკოლის მოსწავლეებს. ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

მოსწავლეებმა დაათვალიერეს კოლეჯი, გაეცნენ სასწავლო პროგრამებს და ჩაერთნენ ხინკლის დამზადების მასტერკლასში.

ასოციაცია „ანიკას“ დღის ცენტრის ახალგაზრდები კოლეჯ „მერმისს“ ესტუმრნენ, სადაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ უფრო ახლოს გაეცნოთ სხვადასხვა პროფესიული მიმართულება.

ვიზიტმა ანიკელებს არამარტო ახალი ცოდნა, არამედ შთაგონებაც მისცა მომავალი პროფესიული გზის დასაგეგმად.

კოლეჯში „მერმისი“ სტუმრად იმყოფებოდნენ უნგრეთის პროფესიული განათლების ცენტრის — Kaposvár Vocational Training Centre-ის წარმომადგენლები, მათ შორის ცენტრის გენერალური დირექტორი ვეიმან გაბორნე და პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელები.

კოლეჯის დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა სტუმრებს გააცნო კოლეჯის ინფრასტრუქტურა და მიაწოდა ინფორმაცია კოლეჯში განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

2025 წლის 04 დეკემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღის ფარგლებში, კოლეჯ „მერმისს‘‘ ესტუმრა, სადაც სასწავლო პროცესს გაეცნო და საგანმანათლებლო სივრცეები დაათვალიერა.

მინისტრი თანამშრომლებს შეხვდა და სასწავლებლის საქმიანობისა და მიღწევების შესახებ მიიღო ინფორმაცია. როგორც გივი მიქანაძემ აღნიშნა, კოლეჯში ინკლუზიური

განათლების მიმართულებით არსებული პროგრამები მაღალ დონეზეა განვითარებული, რაც სასწავლებელში დასაქმებული თითოეული ადამიანის უდიდესი დამსახურებაა.